ლევან კურცხალია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

სამხედრო დიპლომატიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები

დიპლომატია უძველესი ხელოვნებაა და სათავეს იმ დროიდან იღებს, როდესაც ადამიანი საზოგადოებრივი განვითარების პირველ ნაბიჯებს დგამდა. დიპლომატია საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და მას მდიდარი და საინტერესო ისტორია გააჩნია. ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, წარმოიშვა ისეთი საკითხები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ უსაფრთხოებასთან და რომლებიც მოლაპარაკებების გზით, მშვიდობიან გადაწყვეტას საჭიროებდა. ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის საინტერესო და უნიკალურ ძეგლად ითვლება მანუს კანონები. ისინი დაწერილია კლასიკურ სანსკრიტზე ჩვენს წელთ აღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში. ამ კანონების მიხედვით საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე რთული საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით, ძალის პოლიტიკა მეორე პლანზეა. უშუალოდ ტერმინი – დიპლომატია სათავეს იღებს ბერძნული „Diploun''. „Diploun''-ი ეწოდებოდა სიგელს, რომელიც შედგებოდა ხის ორი თხელი ფირფიტისაგან. როგორც რწმუნებათა სიგელი, რაც ფაქტობრივად ახდენდა მის, როგორც სახელმწიფო წარმომადგენლის უფლებამოსილების ცნობას. ანტიკურ საბერძნეთში – ათენში, სპარტაში, კორინთოში ელჩებს სახალხო კრებაზე ირჩევდნენ. არ შეიძლებოდა 50 წელზე უმრწემესის არჩევა. აქედან იღებს სათავეს ტერმინი „უხუცესი". ისტორიულ

წყაროებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ მოლაპარაკებების მიზნით წარგზავნილი დიპლომატები იმუნიტეტით სარგებლობდნენ. დიპლომატების შერჩევისას აუცილებელი პირობა იყო, რომ ისინი კარგი ორატორები და სამართლის საკითხის მცოდნე პირები ყოფილიყვნენ [1, 28].

XVII საუკუნეში ქვეყნებს შორის ურთიერთობების მზარდი დინამიკა (ვაჭრობა, კულტურა, განათლება და ა. შ.) წარმოიქმნა, საფრანგეთი გახდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ოფიციალურად საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩამოაყალიბა. საფრანგეთის ამ ნაბიჯს მალევე სხვა ევროპულმა ქვეყნებმაც მიბაძეს. ამავე პერიოდში დღის წესრიგში სამხედრო დიპლომატიის განვითარების აუცილებლობის საკითხი დადგა, რომელიც ქვეყნებს შორის არსებული უსაფრთხოების გარემოებების უზრუნველყოფის საჭიროებით იყო განპირობებული.

ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმატება, დიპლომატიის სტრატეგიაზე და ბუნებაზეა დამოკიდებული. პიტერ მარშალის აზრით, დიპლომატიის კონცეფციის გამოყენების რამდენიმე მიმართულება არსებობს: პირველი, დიპლომატია წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის სინონიმს და საგარეო პოლიტიკის განხორციელების წესს; მეორე, დიპლომატია არის ინსტრუმენტი საერთაშორისო ურთიერთობებში მოლაპარაკებების ან სხვა მშვიდობიანი საშუალებით პროცესების დარეგულირებისათვის; მესამე, დიპლომატია საგარეო ურთიერთობების საკითხებში დასაქმებული ადამიანების ერთობაა და ბოლოს, დიპლომატიის კონცეფცია მოითხოვს პროფესიონალი დიპლომატებისგან შესაბამის ნიჭსა და უნარებს დასახული მიზნების მიღწევისათვის [2, 4-5]. ქვეყნებს შორის შესაძლო კრიზისის არსებობის შემთხვევაში, მისი მშვიდობიანად გადაწყვეტა არის პროცესი, რომელშიც ჩართული ადამიანები წარმოადგენენ საშუალებებს, ხოლო შემუშავებული გეგმები წარმოადგენენ გზებს საბოლოო მიზნის მისაღწევად, სწორედ ასეთი გეგმების ლოგიკურობაზეა დამოკიდებული საბოლოო შედეგიც. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი უწყება – საგარეო საქმეთა სამინისტრო – წარმართავს ქვეყნის

საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას. სამხედრო დიპლომატია ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილს წარმოადგენს და საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში ეროვნული თავდაცვის სამინისტროს საქმიანობაა.

მიუხედავად სამხედრო დიპლომატიის მნიშვნელობისა, არცთუ ბევრი სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული სამხედრო დიპლომატიის, როგორც ცალკე აღებული მიმართულების შესწავლისათვის, რის მიზეზსაც, ძირითადად, მისი ხასიათი წარმოადგენს. ვინაიდან სამხედრო დიპლომატია პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უსაფრთხოებასთან, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ამიტომ სრულყოფილი კვლევისთვის ეს ხელისშემშლელი გარემოებაა.

სამხედრო დიპლომატია კონკრეტული ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს მიერ დასახული ამოცანების და მიზნების განხორციელებას მხოლოდ სახელმწიფოს გარეთ წარმართავს.

შედარებისთვის, თუ სახალხო დიპლომატიის მიზანს წარმოადგენს უცხო ქვეყნის მოსახლეობისა და მოქალაქეების ინფორმირება, რაც ორმხრივი კულტურული, გაცვლითი სასწავლო და სამუშაო პროგრამების საშუალებით მიიღწევა, სამხედრო დიპლომატია, ძირითადად, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში სამხედრო თანამშრომლობაზე არის ორიენტირებული. ასეთი თანამშრომლობის განხორციელების საუკეთესო მექანიზმს კი ერთობლივი სამხედრო წვრთნების, მნიშვნელოვანი ხასიათის ინფორმაციის ურთიერთგადაცემის, სასწავლო და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების, თავდაცვის და უსაფრთხოების ერთობლივი პროექტების რეალიზება, ურთიერთნდობა, უსაფრთხოების საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი კონფერენციების გამართვა და მაღალი დონის ვიზიტების ორგანიზების უზრუნველყოფა წარმოადგენს. თუ შესაძლებელია, რომ სამხედრო დიპლომატია დონეების მიხედვით დავყოთ, მრავალეროვნულ მოლაპარაკებებს და სხვა აქტივობებს, სადაც ორზე მეტი ქვეყანა იქნება წარმოდგენილი შესაძლოა სტრატეგიული ეწოდოს, ხოლო ორი ქვეყნის შემთხვევაში – ოპერატიული დონე.

სამხედრო დიპლომატიას ერთიანი დოქტრინული განმარტება არ აქვს, მაგალითად სლოვაკი მკვლევარი ფ. შკვრნდა (F. Škvrnda) სამხედრო დიპლომატიას შემდეგნაირად განმარტავს – „სამხედრო დიპლომატია არის შეიარაღებული ძალების მოქმედება დიპლომატიურ ჩარჩოებში“ [3, 137]. ამერიკელი მეცნიერი მ. ედმონდი სამხედრო დიპლომატიას არასაბრძოლო ოპერაციებში სახელმწიფოს გარეთ ქვეყნის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო ქვედანაყოფების გამოყენებას უწოდებს [4, 106]; ხოლო ბრიტანელი მკვლევარი ანტონ დუპლესი გაერთიანებული სამეფოს სამხედრო დიპლომატიას შემდეგნაირად განმარტავს: „სამხედრო კონფლიქტების პრევენციისა და მათი გადაწყვეტის მიზნით, სამხედრო ოპერაციებში სამხედრო პერსონალის გამოყენება (მათ შორის სამხედრო ატაშეების), რომელიც ხელს შეუწყობს სხვა ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას (იგულისხმება სამშვიდობო ოპერაციები)“ [5, 92-93].

ამრიგად, ავტორთა განმარტებით, სამხედრო დიპლომატია მოიცავს სამხედრო ქვედანაყოფების არასაბრძოლო (არაძალადობრივი) აქტივობებს, რომლებიც ბუნებით "დიპლომატიურია" ან დიპლომატიის ნაწილია, როგორც საგარეო პოლიტიკის სპეციფიკური ინსტრუმენტი, რომელიც საქმიანობის ძირითად მეთოდად მოლაპარაკებებს და სამშვიდობო ოპერაციებს იყენებს და მისი საბოლოო მიზანი საომარი მოქმედებებისა და დაპირისპირების პრევენციაა.

XVIII-XIX საუკუნეებში დიპლომატია სრულიად ეფუძნებოდა მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე ძლიერი ქვეყნების (საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი გაერთიანებული სამეფო, პრუსია) ძალთა დაბალანსების პოლიტიკას. სამხედრო დიპლომატიამ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა. სამხედრო დიპლომატია ფოკუსირებული იყო ძირითადად საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ინფორმაციის მოპოვებაზე და მათ ანალიზზე. მათ შორის ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობოდა უცხო ქვეყნების შეიარაღებული ძალების შესახებ მიღებულ ინფორმაციასა და უსაფრთხოების გარემოს შესწავლას, აგრეთვე შესაძლო სამხედრო საფრთხეებისა და აგრესიის ალბათობის განსაზღვრას.

იმ პერიოდისთვის დიპლომატების ძირითადი მიზანი იყო ემუშავათ სახელმწიფოებს შორის საერთო ინტერესების თანხვედრისათვის, რათა აერიდებინათ სამხედრო კონფრონტაცია. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ხსენებული ქვეყნების თავდაცვითი შესაძლებლობები. ძალთა ბალანსი არა მხოლოდ ქვეყნების რაოდენობას, არამედ ის ასევე დაბალანსებულ სამხედრო შესაძლებლობებს გულისხმობდა, რათა არც ერთ ქვეყანას არ გასჩენოდა სურვილი სამხედრო მოქმედებებით მოეხდინა უცხო ქვეყნების ან ტერიტორიების ანექსია. ერთი სახელმწიფოს ჭარბი ძალა სხვა ქვეყნებში ნერგავს უნდობლობას და მათ გაერთიანებისაკენ უბიძგებთ. მაგალითად გერმანიის გაძლიერებამ, რამაც მას 1905 წლიდან ევროპაში უძლიერესი სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭა, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს და საფრანგეთს უბიძგა თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით აუცილებელი თანამშრომლობისაკენ. სწორედ ამიტომაც, კანცლერი ბისმარკი აღნიშნავდა, რომ „ძალთა ბალანსის“ პირობებში ხუთი მოთამაშის შემთხვევაში, სასურველია იმ მხარეს იდგე, სადაც სამი მოთამაშეა [6, 139]. დიპლომატების უმთავრესი ამოცანაც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობდა. იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო მშვიდობა და უსაფრთხოება დამყარებულია ძალთა ბალანსზე, არ მუშაობს საერთაშორისო მექანიზმები და შეთანხმებები, დიდია ალბათობა სხვადასხვა მასშტაბის ომების წარმოებისა, ვინაიდან ასეთი საგარეო პოლიტიკის პირობებში მზარდია მილიტარიზმისკენ სწრაფვა, რაც თავისთავად ქვეყნებს შორის უნდობლობით და მსოფლიო წესრიგის არარსებობით არის განპირობებული. ძველ ეპოქაში ძალთა ბალანსი არა კონფლიქტების პრევენციებს, არამედ მხოლოდ მათ შეზღუდვებს ემსახურებოდა. ამ კონტექსტში შესაძლებელია XVIII-XIX საუკუნეებში არსებულ ძალთა ბალანსის ძირითადი პრინციპები შევადაროთ აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად ლიბერალურ თეორიას, რომელიც ეფუძნებოდა შემდეგს: 1) ეკონომიკურად ერთმანეთზე დამოკიდებული სახელმწიფოები არ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს; 2) დემოკრატიული სახელმ-

წიფოებს შორის არ მოხდება დაპირისპირება; 3) საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობა უზრუნველყოფს მშვიდობას და ქვეყნები კონცენტრირებულები იქნებიან საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებაზე [7, 2]. არცერთი ზემოთაღნიშნული თეორია XVII-XVIII საუკუნეებში არ მუშაობდა, ამიტომაც კონფრონტაცია გარდაუვალი იყო.

პოლიტიკურად ნეიტრალურ ქვეყნებს შორის ნდობის გამყარებისთვის მეტად აპრობირებული და გავრცელებული იყო უცხო ქვეყნის სამხედრო დამკვირვებლების მიწვევა სხვადასხვა სამხედრო სწავლებებსა თუ სამხედრო კამპანიებში, რაც სამხედრო დიპლომატიის ჩარჩოებში ჯდებოდა. მაგალითად, ნაპოლეონ ბონაპარტის მმართველობის პერიოდში, საფრანგეთის ხელისუფლება არ მოერიდა ესპანეთში ინტერვენციის დროს მოეწვია ნეიტრალური ქვეყნის – რუსეთის სამხედრო დამკვირვებლები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებს და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებს აკვირდებოდნენ. ასეთი მოქმედებით საფრანგეთის ხელისუფლება ცდილობდა, გაემყარებინა ნდობა ნეიტრალურად განწყობილ რუსეთის ხელისუფლებასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ პერიოდშიც არსებობდა შეთანხმებები, რომლებიც კრძალავდა სამხედრო შესაძლებლობების და საბრძოლო ტაქტიკის დაინტერესებული მხარისთვის მიწოდებას. იშვიათად, თუმცა მაინც ხდებოდა ხოლმე, რომ ნეიტრალური ან მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს არ ეძლეოდათ საშუალება დაკვირვებოდნენ სამხედრო კამპანიების მსვლელობას. მაგალითად, ყირიმის ომის დროს რუსეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა ნეიტრალური ქვეყნის პრუსიის სამხედროებს დაკვირვებოდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედებებს. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ამის მიზეზი იყო საფრანგეთის აგენტურის მიერ ბერლინში მოპოვებული პრუსიის სამხედრო დამკვირვებლის საიდუმლო მოხსენება, რომელიც რუსეთის არმიის სავალალო მდგომარეობას შეეხებოდა. ყირიმის ომის დროს რუსეთი ცდილობდა, ყოველმხრივ დაემალა თავისი შეიარაღებული ძალების მოქმედებები, რაც არცთუ კარგი გზავნილი იყო მეგობარი და ნეიტრალურად განწყობილი ქვეყნის ხელისუფლებისთვის [8, 18].

როგორც აღინიშნა სამხედრო დიპლომატია მოწოდებულია თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობით და მიაღწიოს სტრატეგიულ მიზნებს არაძალადობრივი საშუალებებით. ასეთ მაგალითად ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ XVII-XIX საუკუნეებში იმპერიალისტური ევროპის მიერ წარმოებული „იძულების დიპლომატია“, რომლის ერთ-ერთ სახეობას „Gun Boat Diplomacy“ [9, 39] ეწოდება. მის ამოცანას წარმოადგენდა ოპონენტი მხარის იძულებით მიღწეული ყოფილიყო სასურველი შედეგი, კერძოდ, სანაპიროებთან საბრძოლო გემების განლაგებით, მოწინააღმდეგე აიძულებდა მეორე მხარეს დათანხმებულიყო მის მოთხოვნას. ასეთი მოქმედებაც შესაძლოა სამხედრო დიპლომატიის ნაწილად მივიჩნიოთ. განსხვავებით ქაოსურად მიღებული გადაწყვეტილებისა, რა დროსაც ერთი ქვეყანა მეორეს საბრძოლო იარაღის ან სხვა ტექნიკური საშუალებების ერთჯერადი ან მრავალჯერადი მიწოდებით სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს. სამხედრო დიპლომატია ქვეყნებს შორის თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში გრძელვადიანი გეგმების და პროგრამების შემუშავებასა და მათ რეალიზაციაზეა ფოკუსირებული. სამხედრო დიპლომატიის მიზანი და ამოცანა თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გრძელვადიან გათვლაზეა ორიენტირებული, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღების მიწოდებას, არამედ ფართო სპექტრით აუცილებელ დახმარებას გულისხმობს.

პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიების სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობის შედეგად, რომელიც გერმანიის საგარეო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა, შესაძლებელი გახდა ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების მოდერნიზება, კერძოდ, სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებული დახმარების პროგრამებით, გერმანელი სამხედრო ინსტრუქტორების მიერ გადამზადდა თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები. გადამზადების შემდეგ მათ შესწევდათ უნარი გამოეყენებინათ იმ დროისთვის ყველაზე თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება. ამ დახმარების მიღებით თურქეთის სამხედრო

ძალები აღმოსავლეთ ფრონტზე ანგარიშგასაწევ ძალად გარდაიქმნა [10, 5-6]. ეს ფაქტი ადასტურებს იმასაც, რომ სამხედრო დიპლომატიური თანამშრომლობით შესაძლებელია მიღწეული იყოს კონკრეტული ქვეყნის საგარეო მიზნები. მაგალითად გერმანია, რომელიც თურქეთთან სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობით აღმოსავლეთ ფრონტზე რუსეთის შეკავებას ისახავდა მიზნად, ცდილობდა, ძალისმიერი საშუალებებით თავისი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ასეთ შემთხვევაში სამხედრო თანამშრომლობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ თუ სამხედრო და სამოქალაქო მიზნები არ არის სინქრონიზებული, დიდია რისკი მიზნის მიუღწევლობისა. მაგალითად, პრუსიის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერთიან აზრზე იდგა და მათ ერთი ამოცანა ჰქონდათ – პრუსიის სამხედრო ძალების გაძლიერებით უზრუნველეყოთ გერმანიის გაერთიანება [11, 16-17], ამიტომაც მიღწეულ იქნა მათი სტრატეგიული მიზანი.

როგორც ჰანს მორგენტაუ აღნიშნავს, საერთაშორისო ურთიერთობები გამომდინარეობს ქვეყნის შიდა ინტერესებიდან, ხოლო ინტერესი თავის მხრივ ეფუძნება შესაძლებლობებს, ამიტომ სახელმწიფოები თვითონ არიან პასუხისმგებელი საკუთარი ინტერესების დაცვასა და უსაფრთხოებაზე [12, 5-6]. ამავდროულად, ხელისუფალთა მხრიდან საჭიროა დადგინდეს, თუ რა არის ქვეყნის ინტერესები, რამდენად რეალურია ის და, როგორ უნდა მოხდეს მიზნის მიღწევა. იქ სადაც ინტერესების თანხვედრა არ ხდება შესაძლოა, წარმოიქმნას პრობლემები, რომლებმაც შეიძლება სამხედრო დაპირისპირება გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, ოპონენტი მხარის შესაძლებლობები ზედმიწევნით შეფასებული და შესწავლილი უნდა იქნას, რათა გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ზუსტად განსაზღვრონ საკუთარი ქვეყნის შესაძლებლობები და მოქმედებების არეალი. კარლ ფონ კლაუზევიცი აღნიშნავს, რომ „ომი წარმოადგენს ძალადობის აქტს, რომლის მიზანია აიძულო მოწინააღმდეგე შეასრულოს შენი მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, კლაუზევიცი ასკვნის, რომ ბრძოლაში მონაწილე ერთმა მხარემ უნდა მიაღწიოს სრულ

გამარჯვებას და ომის წარმოებისთვის აუცილებელია გამოიყენოს ყველა არსებული რესურსი [13, 14]. სწორედ ამ მიზნით სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყნის მმართველი ყოველმხრივ ცდილობდა, ერთის მხრივ, მიეღო ინფორმაცია სავარაუდო მოწინააღმდეგის შესაძლებლობებზე და, მეორეს მხრივ, გაეძლიერებინა თავისი ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობები.

პრუსიის მეფე ფრედერიკ დიდი არა მხოლოდ სამხედრო თეორიის შესახებ წერდა, არამედ თეორიას პრაქტიკაშიც ახორციელებდა. მან 1747 წელს დაწერა „ფრედერიკ დიდის ინსტრუქცია მისი გენერლებისთვის“. ამ ინსტრუქციაში ფრედერიკმა ხაზი გაუსვა მშვიდობიანობის დროს იმ ქვეყნებისა და ადგილების შესწავლის აუცილებლობას, სადაც მისი გენერლები პოტენციურად იმოქმედებდნენ. ფრედერიკმა განმარტა, რომ მის გენერლებს საბრძოლო მოქმედებების წინ უნდა მოენახულებინათ და შეესწავლათ ადგილები ბანაკების მოსაწყობად, დაეგეგმათ მარშრუტები, გადასასვლელები და აღერიცხათ დასახლებული პუნქტები. ფრედერიკი ასევე აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო სოფლების მმართველებთან და გლეხებთან საუბარი, რითაც არა მხოლოდ შენს მოწინააღმდეგეზე მიიღებდი ინფორმაციას, არამედ გაიგებდი თუ ვინ იქნებოდა შენი მოკავშირე, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა ურთიერთობის დამყარება [14, 403-411]. თუმცა ფრედერიკი ამ ქმედებებს კონკრეტულად სამხედრო დიპლომატიის ჩარჩოში არ განიხილავდა. მისი გენერლების მიერ წარმოებული მოლაპარაკებები და შეხვედრები, რა თქმა უნდა, სამხედრო დიპლომატიურ ხასიათს ატარებდა, რომლის მიზანს სხვა ქვეყნის სუბიექტებთან მეგობრული გარემოს შექმნა წარმოადგენდა. ასეთმა მოქმედებამ ფრედერიკს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა, როგორც თავისი სახელმწიფოს სტრატეგიული პოზიცია, ასევე მისი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები.

სამხედრო დიპლომატიის როლი მნიშვნელოვანია „განვითარებადი და პოლიტიკურად მოწყვლადი სახელმწიფოების“ სტაბილურ განვითარებაში, დემოკრატიის ხელშეწყობასა და არასტაბილურ რეგიონებში კონფლიქტის ალბათობის შემცირებაში. მსოფლიო და რეგიონული ლიდერი სახელმწიფოების პოლიტი-

კური, ეკონომიკური თუ სამხედრო ინტერესები განსაზღვრავენ მათ საგარეო პოლიტიკას არასტაბილურ რეგიონებში. აგრეთვე განვითარებული სახელმწიფოები ყოველმხრივ ცდილობენ სამხედრო დიპლომატია გამოიყენონ ასეთ ქვეყნებში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. სამხედრო დიპლომატიის ქოლგის ქვეშ დემოკრატიული ქვეყნების მიერ ორგანიზებული სხვადასხვა პროგრამებით, კონფერენციებით, სწავლებებით და ვიზიტებით მოწყვლად ქვეყნებში იზრდება დემოკრატიის და კანონის უზენაესობის ხარისხი, რითაც შესაძლებელი ხდება განხორციელდეს დემოკრატიული კონტროლი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე, მიღწეულ იქნეს ქვეყანაში სტაბილურობა, გაძლიერდეს უსაფრთხოების ინსტიტუტები და არიდებულ იქნეს უცხო ქვეყნების ინტერვენცია. ამ ყველაფერში, რა თქმა უნდა, განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებს თავისი ინტერესები გააჩნიათ, ვინაიდან თუ განვითარებად ქვეყანაში არ იარსებებს შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმები და სტაბილური გარემო, გაიზრდება ტერორიზმის გავრცელების საფრთხე, რომელიც პირდაპირ ემუქრება განვითარებულ სამყაროს, ასევე კონფლიქტი შეიძლება გაფართოვდეს და არა მარტო ერთ ქვეყანას, არამედ მთელს რეგიონს მოედოს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მრავალი სამშვიდობო ოპერაცია მიმდინარეობს, მაინც რთულად ხდება სამშვიდობო მისიებში კონტრიბუტორი ქვეყნების მონაწილეობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, რისი მიზეზიც ფინანსური ხარჯები და ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური მდგომარეობაა. სახელმწიფოს ლიდერები ერიდებიან სამხედრო კონტინგენტით ოპერაციებში მონაწილეობას, რადგან ასეთ გადაწყვეტილებებს როგორც წესი ქვეყნის შიგნით საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვება ხოლმე. შედეგად მმართველი პარტიის ან ლიდერის საარჩევნო ელექტორატის მხარდაჭერა კლებულობს. 1917 წელს აშშ-ს პრეზიდენტ ვუდროუ უილსონს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა დაერწმუნებინა აშშ მოსახლეობა, აშშ-ს იზოლაციონიზმის პოლიტიკის არამიზანშეწონილებაში და ევროპაში საომარ მოქმედებებში ჩარ-

თულობის აუცილებლობაში. მიუხედავად საზოგადოების მხარდაჭერისა, პაციფისტების მიერ აშშ დემოკრატიულ პარტიაზე განხორციელებული პოლიტიკური თავდასხმები გრძელდებოდა. აშშ მხრიდან ომში ჩაბმის გადაწყვეტილებამ არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა იქონია, რასაც რესპუბლიკური პარტიის და პრეზიდენტ ჰარდინგის გამარჯვება მოჰყვა.

საერთაშორისო საზოგადოების დაგვიანებული ჩარევა კონფლიქტებში მიზეზია ადამიანების სიცოცხლის განადგურების, უამრავი ქალაქის და ინფრასტრუქტურის ნგრევის, ადამიანების დევნილობაში გახიზვნის და სხვა მრავალი ჰუმანიტარული კატასტროფის. ასეთ მოცემულობაში უფრო და უფრო რთული ხდება მოწინააღმდეგე მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა და მათ სამშვიდობო შეთანხმებაზე დაყოლიება. საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილების აღსრულების საკითხში სამხედრო დიპლომატიის როლი მნიშვნელოვნად წარმოჩნდება. მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტისთანავე იწყება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, სადაც ქვეყნის სტაბილიზაცია და აღდგენა სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობით ხორციელდება. დიპლომატიურ და სამხედრო ინსტრუმენტებს შორის ურთიერთობა მშვიდობის მხარდაჭერის მიზნით არის კოორდინირებული, სამოქალაქო ხელისუფლებას სჭირდება უსაფრთხო გარემო, რომელსაც სამხედრო კონტინგენტი უზრუნველყოფს, ხოლო სამხედროებს სჭირდებათ სამოქალაქო ხელისუფლება, რომელიც წარმართავს ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ პროცესს.

პოლიტიკურ პროცესებში სამხედრო დიპლომატიის სტრატეგიული ჩართულობა, ქვეყნებს შორის კონსულტაციების საწარმოებლად დამატებით საშუალებას იძლევა, რათა გაეცეს პასუხები კონფლიქტებს ან გაურკვევლობების გამომწვევ მიზეზებს და მოხდეს სამხედრო ძალების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო ხელისუფლებებს შორის პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ურთიერთობების დარეგულირება.

უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემოს შექმნა წარმოადგენს დიპლომატიის ყველა რგოლის უპირველეს მიზანს, სამხედრო დიპლომატიას კი როგორც აღინიშნა საერთაშორისო ურთიერ-

თობების კონტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან ქვეყნებს შორის ურთიერთობა უსაფრთხოების ფაქტორის არსებობის გარეშე დღევანდელ სამყაროში წარმოუდგენელი მოცემულობაა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სონღულაშვილი ა., სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, თბილისი, 2020.
2. Nicolson H., Diplomacy; UK; 1988.
3. Škvrnda F., საერთაშორისო უსაფრთხოება და სამხედრო დიპლომატია, ეკონომიკური დიპლომატია 21-ე საუკუნეში Bratislava 2005
4. Edmonds M., Beyond the Horizon: Defence, Diplomacy and South Africa´s Naval Opportunities, South African Institute of International Affairs and Centre for Defence and International Security Studies, [South Africa] 1998.
5. A. du Plessis, Defence diplomacy: conceptual and practical dimensions with specific reference to South Africa, „Strategic Review for Southern Africa“, 2008,
6. https://www.chicagotribune.com/news/ct-xpm-1995-01-08-9501080269-story.html
7. Kissinger H., Diplomacy, US, 1996.
8. Vagts A., The Military Attache, US 1967.
9. Cable J., Gunboat Diplomacy 1919-1979: Political Applications of Limited Naval Force.
10. Taşdemir A; The Ottoman And German Relations Durıng The Reign Of Abdülhamid II (1876-1909) Ankara, 2018.
11. Wawro G., The Austro-Prussian War: Austria's War with Prussia and Italy in 1866, US,1996.
12. Morgenthau, Hans, Politics Among Nations. New York: Knopf, 1978
13. Rapaport A., Clausewitz On War US, 1968.
14. Philips, T. R., Roots of Strategy: The 5 Greatest Military Classics of All Time, US, 2011.

Levan Kurtskhalia
Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, Doctoral student

THE BAISIC PHASE OF FORMATION AND DEVELOPMENT OF MILITARY DIPLOMACY

Summary

In the 17th century, the relations between countries were increasing in all aspects (trade, culture, education, etc). As France became the first country to establish a Ministry of Foreign Affairs, other European countries followed suit. During this period, the relevancy of the development of military diplomacy increased considerably, which was the result of the necessity to ensure security between states.

Military diplomacy in the bilateral and multilateral formats is generally oriented on military cooperation, the accomplishment of which is mainly ensured through the practice of joint military training, the exchange of important information, educational and instructive exchange programs, the realization of defense and security projects, the organization of bilateral and multilateral conferences concerning security and the arrangement of high level visits.

It should be mentioned that there is no common doctrinal definition of military diplomacy, for example, a Slovak researcher F. Škvrnda defines military diplomacy as actions of armed forces in the frames of diplomacy. As for American scientist M. Edmond, he describes military diplomacy as the practice of using military units in overseas noncombat operations, whereas British researcher Anton Douples defines UK's military diplomacy as the utilization of military personnel (including military attaché) to prevent and resolve military conflicts while aiding peace support processes in foreign countries. Therefore, according to the authors' definitions, military diplomacy includes the participation of military units in noncombatant

(nonviolent) activities, which in its nature is diplomatic or is part of diplomacy, and is a specific instrument of foreign policy, which ultimately aims to prevent military actions and conflicts by employing negotiations and peace support activities.

Despite its importance, there is a lack of scientific research in the field of military diplomacy as a separate entity, which is mainly caused by the peculiar nature of this field. Military diplomacy is a crucial part of national security. Therefore a large portion of the information is classified and inaccessible, thus making conducting research even more challenging.

Military diplomacy is focused on elaborating and implementing long-lasting defense and security programs between countries. A key goal of military diplomacy is cooperation in the area of defense, which includes not only the provision of weaponry but also a wide specter of support in other spheres.